CASATRADE

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №26-22

(გამარტივებული შესყიდვა)

მუხლი 1. პრეამბულა

1.1. ხელშეკრულების გაფორმების ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი.
1.2. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 21.06.22
1.3. ხელშეკრულების ნომერი 26-22

1.4. **შემსრულებელი:**
1.4.1. სახელწოდება: შპს „კასა ტრეიდი“;
1.4.2. საიდენტიფიკაციო კოდი: 206344213;
1.4.3. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. ბოხუას ქ. 4;

1.4.4. ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“;
1.4.5. ა.ა.: GE 11 BG 0000000 607880600;
ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი“
ა.ა.: GE 96TB7273236020100003

1.4.6. საკონტაქტო ინფორმაცია:
1.4.6.1. ტელეფონი: +(995 32) 2 555 999;
1.4.6.2. ელ-ფოსტა: info@casatrade.ge;
1.4.7. წარმომადგენელი:
1.4.7.1. პოზიცია: დირექტორი
1.4.7.2. სახელი, გვარი: ვლადიმერ აბაჯიანი

1.5. **დამკვეთი:**
1.5.1. აბონენტის ნომერი: 02202
1.5.2. სახელწოდება: შპს „ჯიარ ტრანზიტი“
1.5.3. საიდენტიფიკაციო კოდი: 402020022
1.5.4. მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზირი, N15

1.5.4.1. საკონტაქტო ინფორმაცია:
1.5.4.2. ტელეფონი: 577608777, 598998884
1.5.5. ელ-ფოსტა: ndzotsenidze@grtransit.ge

1.5.5.1. წარმომადგენელი:
1.5.5.2. პოზიცია: დირექტორი
1.5.5.3. სახელი, გვარი: დავით ჩირაძე

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყოების და მომსახურების შესყიდვა CPV 38100000, 38112100 ნავიგაციისა და სალოკაციო გლობალური სისტემები (GPS ან ეკვივალენტი), დეტალურად იხ. დანართი №1 და №2-ში.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი“ კისრულობს ვალდებულებას “დამკვეთს“ გაუწიოს ავტომობილების GPS/GPRS მონიტორინგისა და „GPSControl“ მომსახურება, ხოლო „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას, მიიღოს მომსახურება და გადაიხადოს მომსახურების საფასური, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

2.3 სატრანსპორტო საშუალების GPS/GPRS მონიტორინგის მომსახურება ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის გულისხმობს შემდეგს:

2.3.1 „დამკვეთის“ საკუთრებაში მყოფ GPS/GPRS მოწყობილობების მონიტორინგის და მენეჯმენტის სისტემაში (შემდგომში „GPSControl“) ჩართვას.

2.3.2 სისტემა „GPSControl“-ის მომსახურება ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის გულისხმობს ლოგინის და პაროლის გამოყენებით www.gpscontrol.ge ვებ-გვერდის მეშვეობით „დამკვეთისთვის“ დაშვების უფლების მინიჭებას „შემსრულებლის“ სერვერის იმ ნაწილზე, სადაც განთავსებული იქნება „დამკვეთის“ სატრანსპორტო საშუალების შესახებ მონაცემთა ბაზა.

შემსრულებელი: ---------- **დამკვეთი:** ----------

2.3.3 „GPSControl“-ის მეშვეობით „დამკვეთს“ უნდა შეეძლოს განახორციელოს თავის „სატრანსპორტო საშუალებაზე“ მიმდინარე კონტროლი („ონლაინ“ რეჟიმი), ასევე მიიღოს მათ შესახებ ისტორიული, სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაცია.

2.3.4 მოწყობილობები ითვლება მიღებულად "დამკვეთის" სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებაზე მისი დამონტაჟების და სისტემაში ჩართვის მომენტიდან.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 "შემსრულებელი" ვალდებულია

3.1.1 „დამკვეთის“ მოთხოვნისთანავე, საკუთარი ძალებით აღმოფხვრას პრობლემა, რომელიც გამოწვეულია GPS/GPRS მოწყობილობის ან პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზის გამო, შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.1.2 ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაარეგისტრიროს „დამკვეთი“ სერვერზე, მიანიჭოს მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობით „დამკვეთი“ ვებ-ინტერფეისის საშუალებით უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიღებას.

3.1.3 მოახდინოს მომსახურების მიწოდება ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, გარდა იმ დროისა, როცა სერვერზე მიმდინარეობს პროფილაქტიკური სამუშაოები (თვის განმავლობაში ასეთი სამუშაოების დრო არ უნდა აღემატებოდეს ჯამურად 3 საათს) ან იმ შემთხვევებისა, როცა ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის, ინტერნეტპროვაიდერის ან ფორს-მაჟორის გამო, „შემსრულებელს“ არ შეუძლია მომსახურების სრულფასოვნად განხორციელება.

3.1.4 დამონტაჟებული მოწყობილობების მეშვეობით, უზრუნველყოს „დამკვეთისთვის“, ონლაინ რეჟიმში შემდეგი ინფორმაციის მიწოდება;

- ერთი/რამდენიმე/ყველა ავტომობილის, კონკრეტული მომენტისათვის ადგილმდებარეობის, ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ისტორიის, ავტომობილის დროის ნებისმიერ მონაკვეთში განვლილი მანძილის, სიჩქარის, გაჩერების, დგომის დროის და მარშრუტის შესახებ;

- თუ „ობიექტებისათვის“ დაწესებულია მოძრაობის ზონის და სიჩქარის შეზღუდვა, „დამკვეთის“ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნა ამ პარამეტრების დარღვევის შესახებ;

- სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სტანდარტულად არის წარმოდგენილი ვებ-პროგრამაში;

3.2. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:

3.2.1 „დამკვეთის“ გაფრთხილების გარეშე, უზრუნველყოს ვებ-პროგრამის განახლება(მ.შ. რუკების) და სრულყოფა, რომლის ვადა 6 (ექვსი) თვეზე მეტია;

3.2.2 მოითხოვოს „დამკვეთისგან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

3.3 „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.3.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

3.3.2 უზრუნველყოს თავისი ავტორიზაციის მონაცემების (მომხმარებლის და პაროლის) კონფიდენციალურობა;

3.3.3 აღკვეთოს „ავტომობილებზე“ დამონტაჟებული „მოწყობილობის“ სადენების სისტემაზე „შემსრულებლის“ გარდა ნებისმიერი სხვა პირის დაშვება;

3.3.4 ტექნიკურ საკითხებზე, მომსახურების ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მოწყობილობის მონტაჟზე/დემონტაჟზე ან მოხსნის მოთხოვნის შემთხვევაში დარეკოს ან გამოაგზავნოს მოთხოვნა შემდეგ ტელეფონის და ელ-ფოსტის მისამართზე: 032 2555999 support@casatrade.ge

შემსრულებელი: ---------- **დამკვეთი:** ----------

3.3.5 უზრუნველყოს „ავტომობილის“ ელექტროსისტემის ტექნიკური გამართულობა და იმ შემთხვევაში, თუ შესაკეთებელია ან გამოსაცვლელია „ავტომობილის“ რომელიმე ნაწილი, რომელზეც მიერთებულია „მოწყობილობაზე“ მიმავალი რომელიმე სადენი, აღნიშნული სამუშაო განახორციელოს მხოლოდ „შემსრულებელთან“ შეთანხმებით;

3.3.6 „მოწყობილობების“ მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოების ჩასატარებლად, „შემსრულებელთან“ შეთანხმებით მოახდინოს მხარეებისთვის მისაღები ოპტიმალური სამუშაო გრაფიკის განსაზღვრა;

3.4 „დამკვეთს“ უფლება აქვს:

3.4.1 არაჯეროვანად მომსახურების მიღების, რომელიც უშლის ხელს „დამკვეთს“ მიიღოს შესაბამისი მომსახურება, არ გადაიხადოს იმ ავტომობილის მომსახურების თანხა რომლებზეც არ მიუღია ან მიუღია არაჯეროვანი მომსახურება;

3.4.2 მოითხოვოს „შემსრულებლისაგან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

მუხლი 4. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

4.1.1 მომსახურების ღირებულება თვეში თითო ავტომობილზე განისაზღვროს ტარიფით „ბიზნესი“ (იხ. დანართი N1; დანართი N2) - 24 (ოცდაოთხი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და დღგ-ს ჩათვლით შეადგენს- 463 (ოთხას სამოცდა სამი) ლარს.

4.1.2 „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს“ პროგრამული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით.

4.1.3 მომსახურებაზე ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო 5 რიცხვამდე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.1.4 მომსახურების ღირებულების გაანგარიშება ხდება „GPSControl“-ის სისტემაში ჩართვის დღიდან.

4.1.5 ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 5. მომსახურების შეჩერება

5.1 დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებელს მოსთხოვოს მომსახურების შეჩერება მთლიანად ყველა ავტომობილზე ან რამოდენიმე ავტომობილზე წელიწადში (12 თვიანი პერიოდი) არაუმეტეს 60 (სამოცი) დღის განმავლობაში. მომსახურების შეჩერება გულისხმობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დამკვეთს არ მოეწოდება და არც ერიცხება მომსახურების საფასური. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების შეჩერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ ერიცხება შემსრულებლის მიმართ დავალიანება იმ მომსახურებაზე, რომლის შეჩერბაც სურს.

5.2 მომსახურების შეჩერების მოთხოვნით დამკვეთი უკავშირდება 3.3.4 პუნქტში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე წერილობით და ითხოვს მომსახურების შეჩერებას თარიღიდან თარიღამდე განსაზღვრული კონკრეტული ვადით. მომსახურების შეჩერების პერიოდის დასრულების შემდგომ მომსახურების მიწოდება აღდგება ავტომატურად.

5.3 მომსახურების შეჩერების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია მოთხოვნის თარიღი, რომელიც გულისხმობს, მიმდინარე თვეში მოთხოვნილი თარიღის შესაბამისად მომსახურების დარიცხვას (მინიმალური გადასახადი შეადგენს 5 (ხუთი) ლარს), რომელიც დაირიცხება საანგარიშგებო თვის ბოლოს, გადახდა კი საანგარიშგებო თვის მომდევნო 5 რიცხვამდე უნდა განხორციელდეს.

მუხლი 6. მომსახურების შეწყვეტა

6.1 დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს მომსახურება შეწყვეტის შესახებ კონკრეტული მიზეზის მითითებით, ერთი თვით ადრე შემსრულებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზითა და მისთვის სასურველი თარიღის მითითებით. შეკვეთილი მომსახურების შეწყვეტის ფაქტი არ ათავისუფლებს შემსრულებლის მიმართ დაგროვილი და გადაუხდელი დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

შემსრულებელი: ---------- **დამკვეთი:** ----------

7.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რომელიც არ არის დამოკიდებული მხარეებზე. კერძოდ, სტიქიური უბედურებები, ავარიები, ხანძრები, მასობრივი არეულობები, რევოლუციები, სამხედრო მოქმედებები, კარანტინის გამოცხადება ან სხვა სახის უბედურებები, რომლებიც ხდება იმ რაიონებში, რომლებიც ოფიციალურად ითვლებიან ზემოხსენებული მოვლენების გავლენის ქვეშ. მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულება გადაიდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრამდე.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და შეწყვეტის შესახებ ერთ-ერთი მხარე, თუ ის ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისა და ხანგრძლივობის დამამტკიცებელ საბუთებს ფორს-მაჟორული გარემოებების ადგილმდებარეობისდა მიხედვით წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 . წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 25 ივლისის ჩათვლით, ხოლო მომსახურების გაწევა ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე, არცერთი მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად 12 თვის ვადით იგივე პირობებით. ეს წესი ვრცელდება ყოველი ვადის გასვლისას, ახალი ხელშეკრულების დადების საფუძველზე.

9. ზოგადი ფინანსური პირობები

9.1 თუ გადახდის ბოლო ვადის დადგომის შემთხვევაში შემსრულებლის ბილინგის სისტემაში არ არის ასახული დამკვეთის მიერ დავალიანების სრული დაფარვა, მაშინ შემსრულებელი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევა. მომსახურების შეჩერების თარიღიდან 15 (თხუტმეთი) კალენდარული დღის შემდეგ, შემსრულებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს დაკმვეთისათვის იმ შეკვეთილი მომსახურების მიწოდება, რომლისთვისაც დამკვეთს ერიცხება დავალიანება და დამატებით შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 20% პროცენტის ოდენობით.

9.2 თუ გადახდის ბოლო ვადის დადგომის შემთხვევაში შემსრულებლის ბილინგის სისტემაში არ არის ასახული დამკვეთის მიერ დავალიანების სრული დაფარვა, დამკვეთს დაერიცხება შემდეგი და ყველა მომდევნო თვის მომსახურება, მანამ სანამ არ გამოგზავნის შემსრულებელთან მომსახურების შეწყვეტის განაცხადს ელ-ფოსტის მისამართზე : info@casatrade.ge და ასევე არ გადაიხდის იმ ეტაპზე დაგროვებულ დავალიანებას.

9.3 თუ დამკვეთი, მომსახურების შეჩერების პერიოდის განმავლობაში, სრულად დაფარავს დავალიანებას, მაშინ მას, აღნიშნული დავალიანების დაფარვის შემსრულებლის ბილინგის სისტემაში ასახვიდან ერთი საათის განმავლობაში, აღუდგება მომსახურების მიწოდება. თუ დავალიანების დაფარვა აისახა არასამუშაო საათებში, მაშინ მომსახურება აღდგება მომდევნო სამუშაო დღის პირველი სამუშაო საათის განმავლობაში.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 მხარეთა იმ ვალდებულებაზე, რომლის შესრულებაზე ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ვადა, აღნიშნული ვადა განისაზღვრება 10 (ათი) დღით, შესაბამისი მხარის მიერ მეორე მხარეზე გაგზავნილი წერილის მიღების დღიდან.

10.2 ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან მხარეები თავისუფლდებიან იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ვერ ხორციელდება გარკვეული ხარვეზების გამო რომელიც გამოწვეულია მესამე პირის (GSM ოპერატორი, ინტერნეტ პროვაიდერი) მიზეზით.

შემსრულებელი: ---------- **დამკვეთი:** ----------

10.3 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

10.4 ხელშეკრულებაში მითითებული მისამართების და რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა უნდა გააკეთონ წერილობითი შეტყობინებები 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

10.5 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმის დაცვით. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.6 საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.7 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „დამკვეთთან“, მეორე - „შემსრულებელთან“.

11 . მხარეთა რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“:
შპს „კასა ტრეიდი“;
საიდენტიფიკაციო კოდი: 206344213;
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. ბოხუას ქ. 4;
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“;
ა.ა.: GE 11 BG 0000000 607880600;
ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი“
ა.ა.: GE 96TB7273236020100003

„შემსყიდველი“

შპს „ჯიარ ტრანზიტი“
ს/კ 402020022
მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE68TB7764636070100001

მიმწოდებელი:

LLC CASATRADE

Digitally signed by LLC CASATRADE
Date: 2022.06.23 16:08:32 +04'00'
Adobe Acrobat Reader version: 2022.001.20117

შემსყიდველი:

შემსრულებელი: ----------

დამკვეთი: ----------

CASATRADE

დანართი N1

ბიზნესი

შესაძლებლობები	
მოწყობილობების რაოდენობა	√
მობილური აპლიკაცია	√
ისტორია	√
მომხმარებლები	√
შეტყობინებები	1000SMS
SMS განგაშები	√
რეპორტები	√
გეოზონები	√
მიმოხილვა და სტატისტიკა	√
ობიექტები და დამატებითი ინსტურმენტები	√
ძრავის გათიშვა	საჭიროებს დამატებითი მოწყობილობის შეძენას
ლოკაციის გაზიარების მოდული	√

შემსრულებელი: ---------- დამკვეთი: ----------

CASATRADE

ჩატი მძღოლთან	×
როუმინგი	×
სერვისები	√
ეკოდრაივი	×
ისტორიის შენახვის პერიოდი	6 თვე
მონტაჟის ღირებულება	უფასო
სიმ ბარათი	კი

დანართი N2

საქონლის აღწერილობა და განფასება:

დასახელება	რაოდენობა	ღირებულება - ერთეულის (ლარი)	ღირებულება - სრულად (ლარი)
GPS/GPRS მოწყობილობა	1 ცალი	175.00	175.00
1 ერთეული ჯიპიეს მოწყობილობის მონიტორინგის სააბონენტო მომსახურება	12 თვე	24.00	288.00
		ჯამი:	463.00 ლარი

შემსრულებელი: ----------

დამკვეთი: ----------

Digitally signed by GR Transit LLC
Date: 2022.06.23 16:33:30 +04'00'